ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3234885

ნომერი: AR1498343

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 02.05.2017

გაცნობის თარიღი : 03.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ოთარ ონიაშვილი , N 19/ ქუჩა მირზა გელოვანი, N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გვარამია პ/ნ 01031004186
- თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 62

ორგანიზაცია:

- ესთელაინი კოდი: 204955076

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, და გაცნობებთ შემდეგს: სამსახური არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ საკადასტრო საზღვრის გარეთ თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული კიბის რეკონსტრუქცია , თუმცა პანდუსის მოწყობა უნდა განხორციელდეს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის " საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილებით , რომლის გათვალისწინებით : -.შენობა-ნაგებობებში შესასვლელად მოწყობილი უნდა იყოს პანდუსი ან ელექტრომექანიკური ამწე-შესასვლელი ბაქანი, კარგად განათებული და დაცული ატმოსფერული ნალექებისაგან. შესასვლელებში მოწყობილი პანდუსის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,0 მეტრისა. ეტლის მოტრიალებისა და ფეხით მოსიარულეთა დასვენების ბაქანი უნდა იყოს ჰორიზონტალური პანდუსის სიგანისა და სიგრძით: სწორხაზოვან პანდუსზე არანაკლებ 1,0 მეტრისა, ხოლო სპირალისებურ პანდუსზე - არანაკლებ 2,0 მეტრისა. -.პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. საფეხურების განივ კიდეებში უნდა მოეწყოს 0,01 მეტრის შემაღლებები. კიბის ორივე მხარეს მოწყობილი მოაჯირების სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, ხოლო სიგრძე, მარშის სიგრძესთან შედარებით - 0,3 მეტრით მეტი ორივე მხარეს. (იხ დანართი). ასევე გაცნობებთ, რომ კიბის რეკონსტრუქციისას გასათვალისწინებელია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 34-ე მუხლი, რომლითაც რეგულირდება მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეებში შეჭრა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილი იქნას განახლებული ფოტომონტაჟი, რომელზეც ასახული იქნება ტროტუარის კიდიდან კიბეებამდე მანძილი (წინაღობისაგან თავისუფალი გასავლელის სიგანე) და ასევე ბუნებრივ ხე-ნარგავებამდე მანძილები ასევე პანდუსის სიმაღლე (მისი %-ის გადასამოწმებლად) და მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იქნას სიტუაციური გეგმა დეტალური ზომების მითითებით -წარმოსადგენია ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული ფოტომონტაჟისა და სიტუაციური გენ- გეგმის გათვალისწინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge